

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

2800 ქ. ლანჩხუთი, კოსტავას №37 Tel: 0 494 22-30-09

N 448

11/12/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ბესიკ ტაბიძეს


ბატონო ბესიკ,

გიგზავნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის პროექტს.

დანართი: 8 (რვა) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ძიმიგური



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)
საკრებულოს აპარატი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2019 წლის დეკემბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად (თან ერთვის).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმა

| № | საკითხის დასახელება | შესრულების პერიოდი | პასუხისმგებელი პირი და ორგანო | შენიშვნა |
|---|--|------------------------------------|---|----------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ბიუროს სხდომების მომზადება და ჩატარება | საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად | საკრებულოს აპარატი, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, სხდომის თავმჯდომარე ვლადინერ ნანაძე (საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში) | |
| 2 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების და ფრაქციების სხდომების მომზადება და ჩატარება | საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად | საკრებულოს აპარატი, შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები. | |
| 3 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქალაქეთა მიღების ორგანიზება | სისტემატიურად | საკრებულოს აპარატი | |
| 4 | სამუშაო შეხვედრა ბიუროს წევრებთან | სისტემატიურად | საკრებულოს აპარატი, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე. | |
| 5 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განსახილველი დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტების განხილვა | საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად | საკრებულო, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე. | |

| | | | | |
|---|--|------------------------------------|--|--|
| 6 | საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, კომისიების და ფრაქციების სხდომებზე ნორმატიული აქტების მიმართ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების აღრიცხვა და მათი შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი | საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად | საკრებულოს აპარატი, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე. | |
| 7 | შემოსული განცხადებების, საჩივრების, წინადადებების, წერილებისა და კორესპოდენციების რეგისტრაცია, შესაბამის სფეროებსა და თანამდებობის პირზე გადამისამართება და კონტროლი შესრულებაზე | საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად | საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური | |
| 8 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს და ფრაქციების სხდომების ოქმების გაფორმება, ნორმატიული აქტების (დადგენილებებისა და განკარგულებების) პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა, რედაქტირება, მათი აღრიცხვის, სისტემატიზაციის და დადგენილი წესით გამოქვეყნების ორგანიზება | საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად | საკრებულოს აპარატი | |
| 9 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება, შეხვედრებზე გამოთქმული წინადადებების აღრიცხვა | საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად | საკრებულოს აპარატი | |

| | | | | |
|----|--|-----------|--|--|
| 10 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური და სოც.კულტურული პროგრამების დამტკიცება | იანვარი | საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი. | |
| 11 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და გეგმის დამტკიცება | იანვარი | საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი. | |
| 12 | "საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების ფონდიდან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების შესაბამისად განსახორციელებელი პროექტების განხილვა | თებერვალი | სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი. | |
| 13 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დამტკიცება | თებერვალი | საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი. | |

| | | | | |
|----|---|-----------|---|-----------------|
| 14 | <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის "სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის" და "განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის 2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშების მოსმენა</p> | თებერვალი | <p>საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.</p> | კომისიის სხდომა |
| 15 | <p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხების შესაბამისად განსახორციელებელი პროექტების განხილვა</p> | მარტი | <p>საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.</p> | კომისიის სხდომა |
| 16 | <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა და დადგენილი წესით გამოქვეყნება</p> | მარტი | <p>საკრებულო, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი , საკრებულოს აპარატი.</p> | |
| 17 | <p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის "საფინანსო -საბიუჯეტო" სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ და დადგენილი წესით გამოქვეყნება.</p> | მარტი | <p>საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, საკრებულოს აპარატი.</p> | |

| | | | | |
|----|--|--------|--|--|
| 18 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენა და დადგენილი წესით გამოქვეყნება | აპრილი | საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, საკრებულოს აპარატი. | |
| 19 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება | აპრილი | საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი. | |
| 20 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ლიცენზირებულ კარიერებზე მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგი | მაისი | საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია. | |
| 21 | სოციალური პროგრამების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა | ივნისი | საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი. | |

| | | | | |
|----|--|--------------------------------|---|--------------------------|
| 22 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2020 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა | ივნისი | საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი . | კომისიის სხდომა |
| 23 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა | ივლისი | საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი. | |
| 24 | ინფორმაცია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ | აგვისტო | სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი. | |
| 25 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ-ების საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა | აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი | საკრებულოს ბიურო, მერიის შესაბამისი ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელი. | საკრებულოს ბიუროს სხდომა |
| 26 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა | სექტემბერი, ოქტომბერი | საკრებულოს ბიურო, მერიის შესაბამისი სამსახურის უფროსი. | საკრებულოს ბიუროს სხდომა |
| 27 | საკრებულოს წევრების ანგარიშების მოსმენა გრაფიკის მიხედვით (გრაფიკის შედგენა და დამტკიცება) | ოქტომბერი ნოემბერი | საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს აპარატი, აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური. | |
| 28 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა | ოქტომბერი | საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი. | |

| | | | | |
|----|---|-----------------------|---|--|
| 29 | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა და დადგენილი წესით გამოქვეყნება. | ნოემბერი დეკემბერი | საკრებულოს კომისიები, ფრაქციები, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, საკრებულოს აპარატი. | კომისიები, ფრაქციები, ა(ა)იპ-ები, საჯარო განხილვა. |
| 30 | მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების 2021 წლის სამუშაო გეგმების განხილვა-დამტკიცება | დეკემბერი | საკრებულოს კომისიები | საკრებულოს ბიუროს სხდომა |
| 31 | მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება | დეკემბერი | საკრებულოს ბიურო | |
| 32 | საქართველოს "ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 49-ე მუხლის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის ანგარიშის გაგზავნა და გამოქვეყნება. | 10 დეკემბერი | საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო მიძიგური, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე. | |